საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №19/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 1 მარტის №19 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 10 მარტის №76/19-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 28 აპრილის №19/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება მიიღო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დარღვევით. საჩივრის ავტორი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ ვინაიდან მის სარჩელზე 5 დღის განმავლობაში არ მოხდა რეაგირება და არ იყო განჩინება მზად, სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, აღნიშნული სარჩელი ითვლება მიღებულად და იგი ვალდებულია საქმის მასალები გაუგზავნოს მოპასუხეს, რათა გაგრძელდეს საქმის წარმოება.

1.2. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- -- სასამართლოში წარადგინა სარჩელის ორი ეგზემპლარი, რომელთაგან ერთი უნდა დაეტოვებინა სასამართლოს, ხოლო მეორე დაკონვერტირებული სახით გადაეცა მისთვის, რათა სარჩელის წარმოებაში მიღების შემდგომ, მას გადაეგზავნა მასალები მოპასუხისათვის, თუმცა სასამართლომ განუცხადა, რომ წესი შეიცვალა და სარჩელის ეგზემპლარი მას შემდეგ გადაეცემოდა, რაც სარჩელს წარმოებაში მიიღებდნენ, რაც დარღვევაა.

1.3. სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის მიზეზი იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდა არასწორ კოდზე, კერძოდ -- კოდზე. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად სარჩელი წარადგინა -- -- სასამართლოში და შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადახდაც მოხდა -- სახაზინო კოდზე, თუმცა სასამართლომ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში და აღნიშნა, რომ დავა იყო -- -- სასამართლოს განსჯადი. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სარჩელი თანდართული მასალებით, მათ შორის ბაჟის ქვითრით წარადგინა -- -- სასამართლოში, თუმცა მისი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი სწორედ სახელმწიფო ბაჟის არასწორ სახაზინო კოდზე გადახდა

იყო. საჩივრის ავტორის აზრით სასამართლო ვალდებული იყო მიეღო სარჩელი, რადგან ეს რომ ყოფილიყო ადმინისტრაციული დავა, სარჩელი გადმოიგზავნებოდა -- -- სასამართლოდან და შესაბამისად -- -- სასამართლოც მიიღებდა სარჩელს და იმსჯელებდა მასზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ზედმეტი ბიუროკრატია მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით. სასამართლოს განჩინებით სარჩელის არ იქნა მიღებული წარმოებაში, ერთ-ერთი მიზეზი კი განსჯადობის საკითხი იყო.

2021 წლის 12 თებერვალს -- -- სარჩელი წარადგინა -- -- სასამართლოში. 2021 წლის 17 თებერვლის განჩინებით, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, რის შესახებაც თანაშემწემ მხარეს 2021 წლის 25 თებერვალს სატელეფონო საშუალებით აცნობა.

2021 წლის 25 თებერვალს, -- -- წარმომადგენელმა -- -- განცხადება წარუდგინა სასამართლოს, გასაჩივრებაზე განაცხადა უარი და საქმის მასალები მოითხოვა.

2021 წლის 25 თებერვლის ხელწერილით დასტურდება, რომ მოსარჩელემ პირადად ჩაიბარა სარჩელზე თანდართული დედნები.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 10 ივლისის დასკვნა:

3.1. -- -- 2021 წლის 1 მარტის №19 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

3.2. -- -- 2021 წლის 1 მარტის №19 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს კონკრეტული ფაქტები.

მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას მთელი რიგი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

4.1 საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლე -- -- გააჭიანურა განჩინების მომზადებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (Apostol v. Georgia, §54). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Hornsby v. Greece, §40) მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (Diennet v. France, §33; Martinie v. France [GC], §39).

დასაბუთებული განჩინების მომზადებისათვის კანონმდებლობით კონკრეტული ვადებია განსაზღვრული. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სახეზე იქნება ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები...“ ამავე კოდექსის 187-ე მუხლის თანახმად, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა მოტივირებულია იმით, რომ ეს სარჩელი ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მოსამართლე ვალდებულია მიუთითოს თავის განჩინებაში, თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ“.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ...მხარეებს მოსამართლისათვის სარჩელის გადაცემიდან არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 14 დღისა მათ მიერ მითითებულ ტელეფონის ნომრებზე ეგზავნებათ შეტყობინება ან სასამართლოში გამოცხადების შედეგად ეცნობებათ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ ან სასამართლო გზავნილის (სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების) მათ მიერ მოპასუხისათვის

ჩაბარების თაობაზე. ... სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება მოსარჩელის მიერ განჩინების ჩაბარებიდან, ხოლო ჩაუბარებლობის შემთხვევაში – ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გასვლიდან მეორე დღეს“.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლის თანაშემწემ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება, რომელიც დათარიღებულია 2021 წლის 17 თებერვლით, მხარეს სატელეფონო საშუალებით აცნობა 2021 წლის 25 თებერვალს. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მხარეს, საქმის მასალების მოთხოვნის დღესვე გადაეცა სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

შესაბამისად, საქმის მოკვლევის შედეგად, განჩინების ვადის დარღვევით მომზადების ფაქტი არ დადასტურდა, ვინაიდან 2021 წლის 12 თებერვალს წარდგენილი სარჩელი განხილულ იქნა 2021 წლის 17 თებერვალს.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის განმარტებას იმასთან თაობაზე, რომ 2021 წლის 12 თებერვალს წარდგენილი სარჩელი მიღებულად ითვლება, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 445-ე მუხლის საფუძველზე (...მოსამართლე ვალდებულია სარჩელის (განცხადების) ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის (განცხადების) მიღების შესახებ. სარჩელი (განცხადება) მიღებულად ითვლება მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება – ამ ვადის გასვლის შემდეგ) მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი არ ეთქვა კანონით დადგენილ ვადაში. საქმის დეტალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლისათვის სარჩელის გადაცემიდა 5 დღის ვადაში მიღებულ იქნა განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, კერძოდ, სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2021 წლის 12 თებერვალს, ხოლო განჩინება, რომელიც მოსამართლემ მიიღო დათარიღებულია 2021 წლის 17 თებერვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევის ნიშნები.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს (მოსამართლის მაღალი სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება (ქცევა), ჩადენილი სასამართლოში ან მის გარეთ, რომელიც აშკარად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს და ამით ლახავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას).

4.2.1. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მას კანცელარიაში სარჩელის ჩაბარებისას არ გადაეცა სარჩელის და თანდართული მასალების ასლები, რათა წარმოებაში მიღების შემთხვევაში მოპასუხისათვის გადაეგზავნა.

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შეფასდეს შემდეგი გარემოება: ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში covid პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო რიგი რეკომენდაციები, რათა აერიდებინა ვირუსის გავრცელება სასამართლო შენობებში. 2020 წლის 15 სექტემბრის რეკომენდაციებში ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია, რომ მოქალაქეთა მისაღებში სასამართლოს მომხმარებელთა რაოდენობა არაუმეტეს 20 ერთეულამდე უნდა შეიზღუდოს, ასევე სარჩელებისა (განცხადებებისა) და

სხვა დოკუმენტაციის მიღება უნდა მოხდეს მოქალაქეთა მისაღებში განთავსებული სპეციალური ყუთის მეშვეობით.[1]

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოსარჩელეები, რომლებიც წარადგენენ სარჩელებს სასამართლოში, ტოვებენ მას და თანდართულ ასლებს შესაბამის ყუთებში, ხოლო თუ რიგში დგომა უწევთ, ამ შემთხვევაში სარჩელზე თანდართულ ასლებსაც ტოვებენ სასამართლოში, რათა კანცელარიასთან არ მოხდეს მოქალაქეების რაოდენობის რეკომენდირებულ რაოდენობაზე გადაჭარბება. მოსარჩელეებს სარჩელზე დართული ასლები მოპასუხისათვის გასაგზავნად გადაეცემათ მას შემდეგ, რაც მოსამართლე სარჩელს მიიღებს წარმოებაში.

ამდენად, ამ კუთხით სასამართლოს მხრიდან რაიმე სახის დარღვევაზე საუბარი მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს, რაც შეეხება მოსამართლის ქმედებას, აღნიშნული ბუნებრივია არ შეიძლება შეფასდება მისი მხრიდან რაიმე სახის დისციპლინურ გადაცდომად.

4.2.2. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოთა ზედმეტმა ბიუროკრატიამ მას მიაყენა მატერიალური ზიანი. მან თავდაპირველად სარჩელი წარუდგინა -- -- სასამართლოს, სახელმწიფო ბაჟიც გადაიხადა შესაბამისი სასამართლოს სახაზინო კოდზე. მას შემდეგ რაც სასამართლომ, განსჯადობის წესის დაცვით უარი უთხრა სარჩელის მიღებაზე და განუმარტა, რომ სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო -- -- სასამართლოში, დაუბრუნა სარჩელზე დართული დედნები, მათ შორის ბაჟის ქვითარიც. სწორედ ამ ბაჟის ქვითრით წარადგინა მოსარჩელემ ახალი სარჩელი -- -- სასამართლოში, სადაც მას უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ სახელმწიფო ბაჟი გადახდილი არ იყო -- სასამართლოს სახაზინო კოდზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს მოუწია -- -- სასამართლოში მისვლა და განცხადების დაწერა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების შესახებ, რის საფუძველზეც სასამართლომ მიიღო განჩინება, რომელიც გერბიანი ბეჭდით დამოწმებული გადასცა მოსარჩელეს. განჩინების საფუძველზე, მოსარჩელემ სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, რის შემდეგაც თავიდან გადაიხადა ბაჟი ამჯერად უკვე -- სასამართლოს სახაზინო კოდზე, რათა წარედგინა ამავე სასამართლოსთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

[1] http://hcoj.gov.ge/ka/%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%982.html – ბოლო ვიზიტი 28.04.2021

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები. შესაბამისად, 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად („ვ.ა“ ქვეპუნქტის ნაწილში სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 8 ხმით, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტის ნაწილში დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 8 ხმით, 1 ბიულეტენი ბათილია), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №19/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი